საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №45

ქ. თბილისი 22.10.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი, სხდომის მდივანი;
თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;
გიორგი თურქია- ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:
გიორგი მათიაშვილი - რექტორი;
ვაჟა ხუჭუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია უკლება - პრორექტორი;
ნინო ბოჭორიშვილი - იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანი;
სერგო ჭელიძე - საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ედიშერ ფუტკარაძე - სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
შენგელი ფიცხელაური - იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
რომან შენგელია - კერძო სამართლის კათედრის გამგე;
გივი ლობჟანიძე - საჯარო სამართლის კათედრის გამგე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ნინო ლიპარტია;
თეა იმედაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:20 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე. ამავე პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ნათელა სახოკიას.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი, 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და სთხოვა, რომ ესაუბრა ძირითად საკითხებზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რაიმუნდას კალესნიკასი, განხილვაში სკაიპით ჩაერთო და აღნიშნა, რომ მოკლე შეჯამებას გააკეთებდა სტანდარტებსა და რეკომენდაციებზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად შეფასდა: პირველი სტანდარტი სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, ვინაიდან 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე და მესამე და მეხუთე სტანდარტების ყველა კომპონენტი სრულად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. მეოთხე სტანდარტიც შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა, რომ 4.4 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტებთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულ ფორმატში, ჩატარდა ინტერვიუ ყველა დაინტერესებულ მხარესთან. პროგრამები იყო კარგად სტრუქტურირებული და ორიენტირებული დამსაქმებლის მოთხოვნებზე, პროფესურა პროფესიონალებისგან იყო დაკომპლექტებული, ისინი იყენებდნენ სწავლების პრაქტიკულ მეთოდებს, პროგრამას ჰქონდა პრაქტიკის კომპონენტი. სტუდენტები ჩართული იყვნენ ორგანიზაციულ პროცესებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საჭირო იყო პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, რომელიც ასახავდა ყოვლისმომცველ შედეგებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. მხარდაჭერა და დამატებითი რესურსები უნდა გამოყოფილიყო სამეცნიერო კვლევებისა და მობილობის დასაფინანსებლად.
- საჭირო იყო აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს სრულყოფილად ჰქონოდათ გააზრებული სწავლის შედეგები და მიზნები და ჩართულები ყოფილიყვნენ საერთო სასწავლო პროცესში.
- უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პროგრამის ამოცანების, მიზნებისა და სწავლის შედეგების აღწერის საჯაროდ ხელმისაწვდომობა, სადაც გამოჩნდებოდა მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და პროფესიულ ცოდნასთან, უნარებთან და კომპეტენციებთან.
- საჭირო იყო საერთო და დარგობრივი კომპეტენციების გამიჯვნა, რათა უკეთესად გასაგები ყოფილიყო კავშირი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, განსაკუთრებით სპეციალიზაციის სასწავლო კურსებში.
- ადმინისტრაციის მხრიდან ხელშეწყობილი და დანერგილი ყოფილიყო გამჭვირვალე პირობები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ რჩევებსაც და რეკომენდაციებსაც და აპირებდნენ მათ გათვალისწინებას. მან დაამატა, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით სასწავლო უნივერსიტეტს ბევრი ჰქონდა ნამუშევარი და აცნობიერებდნენ, რომ ამ მიმართულებით კიდევ უნდა გაეგრძელებინათ მუშაობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, სერგო ჭელიძემ განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია გასათვალისწინებელი იყო. მან საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ჩამოდიოდნენ უცხოელი პროფესორები გერმანიიდან და ჰოლანდიიდან, რომლებიც ატარებდნენ მასტერკლასებს. ადგილობრივი პერსონალიც მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში. მან აღნიშნა, რომ დაწყებული იყო კარგი პრაქტიკის დანერგვა დაწესებულებაში, რაც გულისხმობდა სტუდენტების გაგზავნას საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სასწავლებლად 1 სემესტრის განმავლობაში. მაგალითისთვის, გასულ წელს 4 სტუდენტი იმყოფებოდა უცხოურ უნივერსიტეტებში, სერგო ჭელიძემ ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ გარკვეული ნაბიჯები იყო უკვე გადადგმული ინტერნაციონალიზაციის კუთხით და აღნიშნა, რომ კიდევ გააგრძელებდნენ მუშაობას.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, დაამატა, რომ მოპოვებული ჰქონდათ ერასმუსის გრანტი, რომლის ფარგლებშიც იგეგმებოდა სტუდენტური კვლევების განხორციელება ირლანდიის უნივერსიტეტთან. ერთ-ერთი გერმანელი პროფესორი კი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოადგენდა და კითხულობდა ლექციებს ევროპული სამართლის შესახებ.

მეტი ინფორმირებულობის შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველა გზას იყენებდნენ ინფორმაციის გავრცელებისთვის, მათ შორის პროგრამის მიზნებსა და შედეგების შესახებ, ატარებდნენ შრომის ბაზრის ანალიზს და იღებდნენ უკუკავშირს, თუმცა გეგმავდნენ ამ კუთხითაც გაეძლიერებინათ პოლიტიკა.

რაც შეეხება მკვეთრად გამიჯვნას დარგობრივ კომპეტენციებთან დაკავშირებით, მათ აღნიშნეს, რომ საკუთარი სტანდარტებით იყვნენ შეზღუდული, თუმცა სამართლის დარგობრივ სტანდარტთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდნენ.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჰოლანდიელმა კოლეგებმა - სწავლების თანამედროვე მეთოდებზე ჩაატარეს ტრენინგები. ასევე, გეგმავდნენ უცხო ენის კურსის გაძლიერებას პერსონალისთვის, რისთვისაც უნივერსიტეტში არსებობდა უცხო ენების ცენტრი.

უნივერსიტეტის რექტორმა დაამატა, რომ პროფესორების თვითგანვითარებისთვის იყო გამოყოფილი ბიუჯეტი, კვირაში ერთხელ პროფესორს ჰქონდა საბიბლიოთეკო დღე, თავისუფალი ლექციებისგან, რაც იყო ანაზღაურებადი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იმის გამო, რომ სპეციალობა რეგულირებად პროფესიას განეკუთვნება, საბაკალავრო პროგრამა მეტნაკლებად უნიფიცირებული იყო და მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადახალისდა საბაკალავრო პროგრამა, მეტ-ნაკლებად თარგი მოიჭრა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ბევრი სტუდენტიც ჰყავდა და პროფესორებიც პროფესიონალები იყვნენ, თუმცა უნივერსიტეტს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ დასჭირდებოდათ პროფესორების რიცხვის გაზრდა, განსაკუთრებით კერძო სამართლის მიმართულებით, რადგან არსებული პერსონალი მუდმივად ვერ იქნებოდა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სამართლის ახალი დარგობრივი სტანდარტი ბევრ რამეს შეცვლიდა, გადასამუშავებელი იქნებოდა პროგრამები. ამის გარდა, საბაკალავრო და განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამების სილაბუსები თითქმის იდენტური იყო - დაწყებული სწავლების მეთოდებიდან, დამთავრებული სემინარებით. კრედიტების რაოდენობაც ერთნაირი იყო. ასევე, მისთვის გაუგებარი იყო რას წარმოადგენდა წიგნზე მუშაობის მეთოდი, თუმცა მთავარი მეთოდებთან დაკავშირებით ის შენიშვნა ჰქონდა, რომ ყველა სილაბუსებში ყველა მეთოდი იყო ჩამოწერილი მიუხედავად იმისა, შეესაბამებოდა თუ არა ეს კურსის სპეციფიკას. პროგრამის დონეზე გასაგები იყო ყოველი მეთოდის დასახელება, თუმცა კურსების შემთხვევაში ეს უნდა დაკონკრეტებულიყო, რადგან უნივერსალური მეთოდებით შედეგზე ვერ გავიდოდნენ. მითუმეტეს, რეალობაში ასე ვერც იხელმძღვანელებდნენ პროფესორები.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იყენებდნენ მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის, როლურ თამაშებს, იმიტირებულ პროცესებს, თუმცა გაითვალისწინებდნენ აღნიშნულ მოსაზრებას და გაწერდნენ უფრო მკაფიოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამები სწორედ ამით შეიძლებოდა განესხვავებინა სტუდენტს სხვადასხვა უნივერსიტეტში, გამომდინარე იქიდან, რომ სფერო რეგულირებადია, გარკვეული მინიმუმი ისედაც იყო დაწესებული და სტუდენტისთვის საინტერესო უნდა ყოფილიყო ის განსხვავებები, რასაც სხვადასხვა უნივერსიტეტები შესთავაზებდნენ საერთო მოთხოვნების ზემოთ. მან რჩევა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, დამატებით ლიტერატურად დაემატებინათ უცხოენოვანი ლიტერატურა. გარდა ამისა, როდესაც საუბრობდნენ ყველა პროგრამაში უცხოელი კოლეგების ჩართულობაზე, ერთიდაიგივე ხალხი იყო ჩართული ამ პროგრამებში და მათი წაკითხული კურსებიდან, მხოლოდ რამდენიმე ეხებოდა უშუალოდ სამართალს. ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ თუკი უნივერსიტეტს ჰქონდა კონტაქტები, კარგი იქნებოდა გამოეყენებინათ უფრო კონკრეტული მიმართულებებით და ესწავლებინათ გარკვეული დარგობრივი კურსები უცხო ენაზე. მითუმეტეს, როდესაც მისაღებ გამოცდებზე სტუდენტები ადასტურებდნენ ინგლისური ენის კომპეტენციას. გარდა ამისა, უცხოელ კოლეგას შეეძლო ესწავლებინა შედარებითი სამართალი, რაც შეიძლებოდა გადასულიყო სამაგისტრო დონეზე.

ამასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გერმანელი პროფესორი რეგულარულად ჩამოდიოდა და ატარებდა კურსებს, თუმცა დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს იმ ნაწილში, რომ დასამატებელი იქნებოდა უცხოენოვანი მოდული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა გაანალიზეს, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ მე-2 სტანდარტი უნდა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე, საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავდა ანგარიშის წარმოდგენის ვადას.

ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, პროგრამას აკრედიტაციის ვადა ამოეწურა 2018 წლის 15 ოქტომბერს, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით, საბჭო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიუთითებდა 2018 წლის 15 ოქტომბერს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-7

პუნქტების, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღროს 1 წელი.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელდეს მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდება პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

10:51 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

საბჭოს სხდომა განახლდა 11:08 საათზე.

საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: ელიზბარ ელიზბარაშვილმა და სოფიკო ლობჟანიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ვინაიდან ექსპერტთა დასკვნები და რეკომენდაციები იდენტური იყო, საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შესთავაზა ორივე საკითხის ერთად განხილვა. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს, როგორც საბჭოს წევრებმა, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა.

2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კერძო სამართალი
განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი კერძო სამართალში 0603
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

3. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სისხლის სამართალი
განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი სისხლის სამართალში 0604
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა ექსპერტთა დასკვნების პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ორივე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით, პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად შეფასდა: პირველი სტანდარტი მეტწილად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, ვინაიდან სტანდარტის ორივე კომპონენტი შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. მეორე და მეხუთე სტანდარტების ყველა კომპონენტი სრულად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. მესამე სტანდარტიც შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა, რომ 3.2 კომპონენტის შეფასება იყო „მეტწილად შესაბამისი" მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან რადგან 4.1, 4.2 და 4.4 კომპონენტები შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტებმა საბჭოს გააცნეს რეკომენდაციები, რომლებიც ორივე პროგრამასთან მიმართებით იყო ანალოგიური:

- საჭირო იყო პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, რომელიც ასახავდა ყოვლისმომცველ შედეგებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. მხარდაჭერა და დამატებითი რესურსები უნდა გამოყოფილიყო სამეცნიერო კვლევებისა და მობილობის დასაფინანსებლად. ინგლისური ენის კომპონენტი უნდა ჩადებულიყო ყველა პროგრამაში. დაწესებულებას უნდა შეემუშავებინა საერთაშორისო სტრატეგია და ინტერნაციონალიზაციის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრამის ევროპული და საერთაშორისო განზომილების გაუმჯობესებას.
- მკაფიოდ იყო გასამიჯნი საერთო და დარგობრივი კომპეტენციები სწავლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე ციკლისთვის (სამაგისტრო საფეხური) შესაბამისი დაშვების მოთხოვნების გათვალისწინებით. სოციალურ პარტნიორებს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს სრულყოფილად უნდა გაეაზრებინათ პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები, რაც გამოხატული იქნებოდა მთლიან მეთოდოლოგიაში.
- გამიჯნული უნდა ყოფილიყო საერთო და დარგობრივი კომპეტენციები იმისათვის, რომ უფრო გასაგები გამხდარიყო ურთიერთკავშირი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის. სამაგისტრო პროგრამაში მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა კვლევას, კრიტიკულ აზროვნებასა და ინტერდისციპლინარულ უნარების განვითარებას, ასევე პროფესიულ კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენდნენ მხოლოდ სპეციფიკური კურსების შედეგად.
- მორგებული უნდა ყოფილიყო სამაგისტრო ნაშრომები ახალ წესებს, ორიენტირებულიყო მოსამზადებელ პროცედურებზე, კვლევის დაგეგმვაზე, აკადემიურ მოთხოვნებზე და გაუმჯობესებულიყო ხელმძღვანელობის პროცესი. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესების თაობაზე აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერება უნდა ამაღლებულიყო. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები უნდა შერჩეულიყვნენ უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, პროფესორის სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინებით. ასევე საჭირო იყო სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირება.
- უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პროგრამის ამოცანების, მიზნებისა და სწავლის შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობა, სადაც გამოჩნდებოდა მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და პროფესიულ ცოდნასთან, უნარებთან და კომპეტენციებთან.

- ადმინისტრაციის მხრიდან ხელშეწყობილი და დანერგილი უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე პირობები აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობებთან დაკავშირებით.
- შეფასებული უნდა ყოფილიყო აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვა, ასევე, აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი აქტივობები, რის საფუძველზეც დაინერგებოდა მათი წახალისების მექანიზმი, შეფასების შედეგების მიხედვით, რაც უნდა ჩატარებულიყო რეგულარულად.

ექსპერტების მიერ რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ, თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენლებს გადასცა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით უკვე ისაუბრეს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ აპირებდნენ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მათ აღნიშნეს, რომ შიდა რეგულაციით მკაფიოდ ჰქონდათ დივერსიფიცირებული საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სწავლის შედეგები, თუმცა ელოდებოდნენ ახალ დარგობრივ სტანდარტს, რის შემდეგაც, უფრო კარგად გამიჯნავდნენ საფეხურებს შორის სხვაობას ამ კუთხით. მათი მოსაზრებით, დარგობრივი კომპეტენციის შემთხვევაშიც, ახალი სტანდარტის ამოქმედების შედეგად, საჭირო იქნებოდა შედეგების გადახედვა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა კითხვით, თუ რა იგულისხმებოდა მეოთხე რეკომენდაციაში და თუ გაეცნენ ექსპერტები ვიზიტზე სამაგისტრო ნაშრომებს.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ მათ ნახეს სამაგისტრო ნაშრომები და რეკომენდაცია გულისხმობდა დახვეწას უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების მხრივ, ამას სტუდენტების ენის კომპეტენციის დაბალი დონეც უშლიდა ხელს, თუმცა ეს საკითხი ზოგად პრობლემას წარმოადგენდა უნივერსიტეტების დიდ ნაწილში. მიუხედავად ამისა, დაწესებულების სტუდენტები იყვნენ ინფორმირებულები ბაზების შესახებ, ჰქონდათ წვდომა, მაგრამ არ იყენებდნენ ორიგინალ ლიტერატურას, ძირითადად ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ თარგმანებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდნენ ექსპერტების რეკომენდაციას, თუმცა ჰყავდათ სტუდენტები, ვინც ძალიან კარგად იცოდა ინგლისური და იყენებდა უცხოენოვან ლიტერატურას. მომავალში, ამ ნაწილის გაძლიერების მიზნით, ისინი გეგმავდნენ უცხოენოვანი კურსების შეთავაზებას სტუდენტებისთვის, თუნდაც არჩევითი კურსების სახით. გარდა ამისა, 2017 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ახალი წესი, რის ფარგლებშიც, მთლიანი კათედრა ჩაერთვებოდა პროცესში, შესაბამის ანგარიშებს წარმოადგენდნენ და სამაგისტრო ნაშრომებს უფრო მეტი ყურადღება მიექცეოდა.

ირაკლი ბურდულმა ითხოვა მეშვიდე რეკომენდაციის დაზუსტება, რომელიც ეხებოდა პერსონალის შეფასებასა და წახალისებას.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ექსპერტების მოსაზრებით, კარგი იქნებოდა წახალისებულიყვნენ წარმატებული ლექტორები, შეფასების მექანიზმი მუშაობდა უნივერსიტეტში, თუმცა მოტივაციის კუთხით გაძლიერება იყო ნაგულისხმევი აღნიშნულ რეკომენდაციაში.

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს ექსპერტების რეკომენდაციებს, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მას ჰქონდა გარკვეული შენიშვნები პროგრამებთან დაკავშირებით:

ზოგადი ხასიათის მოსაზრებების კუთხით, მან აღნიშნა, რომ პროგრამები თითქმის იდენტური იყო. ამ ორ პროგრამას შორის სხვაობა გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ პროგრამის დასახელებაში და კვალიფიკაციაში სისხლის სამართალი იცვლებოდა კერძო სამართლით. დასაქმების ბაზარი, პროგრამის მიზნები ერთიდაიგივე იყო, თუმცა მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის პროგრამა ბევრად უკეთ იყო გააზრებული. კერძო სამართლის სტრუქტურა კი მისი აზრით, იმგვარად იყო აწყობილი, რომ ეჭვქვეშ აყენებდა შედეგზე გასვლას. ორივე პროგრამის არქიტექტურა იყო მსგავსი, რაც არ იყო სწორი. ჩანაწერში აღნიშნული იყო, რომ კურსდამთავრებული დასაქმდებოდა მოსამართლედ, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან ამას დამატებითი მომზადება სჭირდებოდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, შესაბამისად ჩანაწერი იყო ამოსაღები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსალური კურსდამთავრებულის მომზადების სურვილის შემთხვევაში, უნივერსიტეტს შეეძლო ეფიქრა გაერთიანებული პროგრამის შეთავაზებაზე და დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ერთ სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხებოდა 61 სტუდენტი, მეორეზე - 30 და დაამატეს, რომ სტუდენტებს მოსწონდათ სპეციალიზირებულ პროგრამებზე სწავლა, სადაც გამიჯნული იყო მიმართულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, პროგრამები არ უნდა ყოფილიყო იდენტური, ამჟამად მათ საერთო ჰქონდათ მიზნები, შედეგები, მეთოდოლოგია. ასევე იყო შეუსაბამო ჩანაწერები, მაგალითად PBL მეთოდი, რისი გამოყენებაც საქართველოში, სამართლის სფეროში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ამის საშუალებას არც ლიტერატურა იძლეოდა და არც პრაქტიკული მასალები. გარდა ამისა, წარმოუდგენელი იყო ყველა ლექტორს ყოველ საგანში გაეთვალისწინებინა ყველა ის მეთოდი, რაც ჩამოთვლილი ჰქონდათ სილაბუსებში. ასევე, პროგრამის მიზნებში იკითხებოდა ეთიკური ნორმების საკითხი, თუმცა არცერთი საგანი არ იყო პროგრამაში მიბმული ამ მიზანს, არ ისწავლებოდა პროფესიული ეთიკა, მოსამართლის ეთიკა და ა.შ. ანუ, პროგრამა არ ითვალისწინებდა საგანს, რომელიც ეთიკის ნორმებს ეხებოდა. თუკი მიზნებში ეწერათ მაღალი ეთიკური ღირებულებების მქონე იურისტის მომზადება, ცალკე კურსი უნდა ყოფილიყო ამის საილუსტრაციოდ ან სხვადასხვა კურსში ყოფილიყო გაშლილი.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ასეთი კურსი საბაკალავრო პროგრამაში ჰქონდათ ჩადებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჰქონდა შენიშვნები კერძო სამართლის პროგრამის სტრუქტურასთან მიმართებით - მან აღნიშნა, რომ არ ჩანდა ბმა სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის: სავალდებულო საგნებს მიეკუთვნებოდა აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები, შედარებით სანივთო სამართალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, შედარებითი

საკორპორაციო სამართალი... ხოლო არჩევითში - საერთაშორისო ინტელექტუალური სამართალი, შედარებით კერძო სამართალი და ა.შ. ასევე, გაუგებარი იყო თვითონ სავალდებულო საგნებს შორის მიმართება ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, შედარებითი სანივთო სამართლისა და შედარებითი საკორპორაციო სამართლის კურსების შემთხვევაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც გააანალიზეს გამოკითხვის შედეგები, რიგი სასწავლო კურსები გადაიტანეს საბაკალავროდან სამაგისტრო საფეხურზე, რაც, მათი მოსაზრებით, ემსახურებოდა სამაგისტრო პროგრამის გაძლიერებას.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ აკადემიურ წერასა და კვლევის მეთოდებს ასწავლიდა ფილოლოგი, რაც არ იყო მიზანშეწონილი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული ჰქონდათ და აღნიშნულ კურსს უკვე კითხულობდა იურისტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ კერძო სამართლის პროგრამის სილაბუსებშიც იყო განსახორციელებელი ცვლილებები - უფრო გასააზრებელი იყო კურსის მიმდინარეობა, მაგალითად გაუგებარი იყო შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსის კონტექსტი რას ისახავდა მიზნად. ასევე, ძირითად ლიტერატურაში მითითებული ერთ-ერთ წიგნს, ჰქონდა ბუკლეტის ფორმატი, გამოცემული იყო 2013 წელს და წარმოადგენდა სტუდენტის საკურსო ნაშრომს. ირაკლი ბურდულის განცხადებით, ამ მასალით სწავლება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან დოკუმენტი შეიცავდა შეცდომებს. რაც შეეხებოდა საგნის თემატიკას, ირაკლი ბურდულის მოსაზრებით, საკითხები ერთმანეთთან არ იყო დაკავშირებული შინაარსობრივად, იწყებოდა სისტემით, თუმცა არ იკვეთებოდა რა დატვირთვა ჰქონდა ამას ქართულ სამართალთან, ასევე არც ქართულ სამართალზე იყო საუბარი. სხვადასხვა ქვეყნებისა და სამართლებრივი სისტემების შედარებას ცდილობს - აშშ, რუსეთი, ევროპის, მაგრამ შეუძლებელია ყველაფერი ერთიანად დაეფარა, რადგან ევროპის სამართალი შეიძლება იყოს არამხოლოდ ცალკე კურსი, არამედ ცალკე პროგრამაც კი. საკითხები გადმოტანილი იყო ერთ-ერთი წიგნიდან და სრულად ემთხვეოდა სარჩევს, რაც არ იყო სწორი, ასევე იდო ნორმები, რაც უკვე გაუქმებული იყო და არ ფუნქციონირებდა, მაგალითად გეგმა ევროპის კავშირში, რომლის სამოქმედო გეგმა კი იყო 2006 წელს, როგორც მითითებული იყო სილაბუსში, მაგრამ ახლდებოდა 2 წელიწადში ერთხელ, ასევე, ევროპის დირექტივები - 1, 2, 3 გაუქმებული იყო და 2017 წელს გამოსული იყო ახალი დირექტივა.

რაც შეეხებოდა შედარებითი კერძო სამართლის კურსს, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თითქოს არეული იყო შინაარსი საერთაშორისო კერძო სამართალთან. მთელი ლიტერატურა და საკითხები იყო საერთაშორისო კერძო სამართლიდან წარმოდგენილი. ამ საგნით იმ შედეგზე ვერ გავიდოდნენ, რაც ჰქონდათ დასახული. თუმცა, მისი თქმით, იგივე პრობლემები არ ჰქონდა სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას, აქ სტრუქტურაცა და შინაარსიც თანმიმდევრული და კარგად გააზრებული იყო, კერძოდ - მოძღვრება დანაშაულზე, მტკიცების სამართალი, როგორ უპირისპირდება ერთმანეთს - კარგ კონტექსტში იყო წარმოდგენილი. არჩევით ბლოკში შედიოდა ადამიანის უფლებები, ევროპული სისხლის სამართალი, ტრანსნაციონალური დანაშაული, სილაბუსებიც ითვალისწინებდა უცხოურ ლიტერატურას - ინგლისურს, გერმანულს, რუსულს, ასევე თარგმანებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამართლის კურსში, ბევრი საკითხი იყო, რისი ჩატევა ერთ ლექციაში ვერ მოხერხდებოდა. ასევე ერთად იყო თავმოყრილი საკითხები ბიზნესიდან - დაწყებული სამოქალაქო კოდექსის რეგულაციით, დამთავრებული ეროვნული ბანკის რეგლამენტაციებით, რაც ვერ დაიფარებოდა ერთი კურსის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რაც შეეხებოდა სემინარებს, მასტერკლასებს სტუდენტებისთვის - ორივე საფეხურისთვის ერთიდაიგივე იყო ეს სემინარები, ჩამოწერილ კურსებში, მხოლოდ 2 ეხებოდა სამართალს - დანარჩენი - მაგ. პიროვნება, ლიდერობა და უნარები - იყო ზოგადი სემინარები, არა დარგობრივი. ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი, რაც მან დაასახელა, ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეემჩნია და შეეფასებინა სიღრმისეულად, პროგრამის შეფასება იწყებოდა ქვემოდან ზემოთ, სილაბუსებიდან.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტებისა და საბჭოს წევრების მოსაზრებებს.

სამართლის ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმებოდა საბჭოს თავმჯდომარეს და განაცხადა, რომ კრიტიკულად მიუდგებოდნენ ყველა სილაბუსს. ასევე განიხილავდნენ პროგრამების გაერთიანების შესახებ მოსაზრებას. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს მსჯელობა მათთვის სასარგებლო იყო.

11:54 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

საბჭოს სხდომა განახლდა 12:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიზანშეწონილი იყო შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, პროგრამას უნდა მინიჭებოდა პირობითი აკრედიტაცია. რაც შეეხებოდა სისხლის სამართლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას, ვინაიდან პროგრამა აკრედიტაციის ორ სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, დაწესებულებას მოუწევდა რეკომენდაციების გამოსწორების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენა.

ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, ორივე პროგრამას აკრედიტაციის ვადა ამოეწურა 2018 წლის 15 ოქტომბერს, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით, საბჭო აკრედიტაციის დებულების 27[5] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიუთითებდა 2018 წლის 15 ოქტომბერს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღროს 6 თვე.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 12:10 საათზე, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

მდივანი
ნათელა სახოკია